

*ნინო ჩარქიშვილი***ებლას ქალაქ-სახელმწიფო**

XX ს-ის დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენებს მიემატა კიდევ ერთი საყურადღებო აღმოჩენა. იგალიელმა არქეოლოგებმა სირიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიაკვლიეს ებლას, უძველეს ქალაქ-სახელმწიფოს, რომელიც ამ ტერიტორიაზე ძვ.წ III-II ათასწლეულებში არსებობდა. აღნიშნულმა გათხრებმა კიდევ ერთხელ უარყო მეცნიერთა მიერ აღრე ჩამოყალიბებული ღოგმაგური მოსაზრება იმის შესახებ, რომ თურმე, კაცობრიობის პირველი ცივილიზაციები იქმნებოდა მხოლოდ დიდი მდინარეების მიმდებარე ტერიტორიებზე: ტიგროსისა და ეფრატის შუამდინარეთში, ნილოსზე და სხვ. ებლას აღმოჩენამ წარმოაჩინა ძვ.წ. III ათასწლეულის ქალაქ-სახელმწიფო, რომელიც თავისი განვითარებით დიდად არ ჩამოუვარდებოდა ეგვიპტესა და შუმერს.

1964 წელს რომის უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სირიაში არქეოლოგიური გათხრების წარმოების შესახებ. ექსპედიციის ხელმძღვანელმა პაოლო მაგიემ ყურადღება შეაჩერა თელ-მარდიხის ბორცვზე. იგი სამი მიზეზით განმარტავს თავის არჩევანს: 1) ზედაპირული კერამიკული მასალა უეჭველად განეკუთვნებოდა ძვ.წ. 2500-1500წ.წ.; 2) 56 ჰა ფართობის დასახლება სარწმუნოს ხდიდა ვარაუდს, რომ თავისი არსებობის დროს, ეს ადგილი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სირიის ისტორიაში; 3) და ბედნიერი შემთხვევის წყალობით აღმოჩნდა ძვ.წ. XIX-ის თასი. არქეოლოგებმა აგრეთვე აღმოაჩინეს ბაზალტის სტელა აქადური ლურსმული წარწერით, რომელიც იხსენიებდა ებლის მეფეს. სწორედ მაშინ იგულისხმეს იგალიელმა არქეოლოგებმა, რომ გათხრილი ობიექტი იყო ებლა. თელ-მარდიხის პირველი ათწლეულის სისტემატიურმა გათხრებმა და ფართო კვლევებმა მოგვცა მონაცემები ებლას შესახებ.

უძველესი დასახლებები თელ-მარდიხის ტერიტორიაზე შეიმჩნევა მარდიხ I ფენაში – პროტოისტორიული პერიოდი (ძვ.წ. 3500-2900წ.წ.). დასახლებათა ინტენსიურობა იზრდება მარდიხ II ფენაში (ძვ.წ. 3500-2900წ.წ.), ამ პერიოდის ებლას ურთიერთობა აქვს აღრეინასტიური ხანის მესოპოტამიასთან. შემდგომ ეტაპზე, მარდიხ II 1 ფენაში (ძვ.წ. 2400-2250წ.წ.) ებლა უკვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრია. ამ პერიოდს განეკუთვნება სამეფო სასახლე, არქივები, ტაძარი, საფორტიფიკაციო ნაგებობები. ძვ.წ. 2300წ. ებლაში შეიჭრა სარგონ აქადელი, ხოლო ძვ.წ. 2225წ. ებლა გაანადგურა

ნარამსუენ აქადელმა. ებლას ისტორიის შემდგომი ეტაპია მარდის II ფენა (ძვ.წ. 2250-2000წ.წ.). მესოპოტამიაში იგი ემთხვევა აქადის დინასტიის დასასრულს, გუთიების ბაგონობის ხანას, ლაგაშის II დინასტიასა და ურის III დინასტიის ეპოქას. აღრებრინჯაოს IV ფენასა და წინა ფენას შორის ძირეული სხვაობა მატერიალური კულტურის მიხედვით არ შეიმჩნევა. როგორც არქეოლოგიური მასალა მიუთითებს გემოაღნიშნული ეპოქის დასასრულს მოხდა კატასტროფა, რომლის შედეგადაც ებლა განადგურდა. ებლას ხელახალი აღორძინება იწყება მარდის II (ძვ.წ. 2000-1800წ.წ.) ფენიდან და ემთხვევა ქ. ისინისა და ქ. ლარსას დინასტიების ბაგონობას შუამდინარეთში, ამორეველთა გამორჩენას მესოპოტამიასა და სირიაში. ებლა კვლავ მნიშვნელოვანი ცენტრი ხდება. აღდგა არქიტექტურული ნაგებობანი, გალავნის კედლები. აღმოჩენილი მდიდარი კერამიკა, ქანდაკებები და ხელოვნების სხვა ნიმუშები მიუთითებენ ამ პერიოდის ებლას სიძლიერეზე. შემდგომ ეპოქაში (მარდის III ფენა - ძვ.წ. 1800-1600წ.წ.) მნიშვნელოვანი კულტურული ძვრები არ შეიმჩნევა. არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფს, რომ ქალაქი კვლავ განადგურდა. მისი მოსპობა ერთი მოსაზრების მიხედვით დაკავშირებულია იამხადის სამეფოსთან, მეორე მოსაზრების თანახმად ებლა განადგურა ხეთების მეფე ხათუსილი I-მა ან მისმა მემკვიდრე მურსილიმ ძვ.წ. 1600წ. ამ დროიდან ებლაში დასახლების კვალი აღარ შეიმჩნევა, რასაც მოწმობს მარდის IV და ფენები (ძვ.წ. 1600-1200წ.წ.). ძვ.წ. 900-720წ.წ. (მარდის V ფენა) ებლა ასრულებდა ციხე-სიმაგრის ფუნქციას ჰამათისა და არამეული სამეფოებისათვის. ძვ.წ. 720წ. ებლა განადგურა სარგონ II-მ, რომელმაც დაიპყრო ჰამათი და მისი მიმდებარე ტერიტორიები. ამ პერიოდიდან იწყება ჯერ ასურელთა, ხოლო შემდგომ ბაბილონელთა ბაგონობა. გათხრების შედეგად ასევე გამოვლინდა სპარსელთა ბაგონობის პერიოდის ფენა, ელინისტური ხანისა და ბიზანტიური ხანის ნიმუშები, ისლამური ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლებიც.

მცენიერები ებლას გათხრებამდეც იცნობდნენ. მის შესახებ ცნობებს შეიცავს ძვ.წ. III-II ათასწლეულების ლურსმული ფირფიტები, რომლებიც ებლას მოიხსენიებენ როგორც ძლიერ სახელმწიფოს.

არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა სამი ძირითადი სექტორი: 1) სამხრეთ ნაწილში – ცენტრალური კომპლექსი; 2) დასავლეთ მთის ძირში – აღმინისტრაციული კომპლექსი აუდიენციისათვის; 3) სამხრეთ კომპლექსი.

ცენტრალური კომპლექსი იყო ალბათ ძალიან დიდი და მოიცავდა სექტორებს, რომლებიც თავიანთი ფუნქციებით განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილია გასასვლელი მთავარი მონუმენტური ჭიშკრიდან სასახლის შემო ნაწილისაკენ და სამხრეთ საწყობების ნაწილი.

აღმინისტრაციული კომპლექსი წარმოადგენს დამოუკიდებელ სექტორს. აქ ინახებოდა სამეფო არქივები, მნიშვნელოვანი ნელეული და ნაკეთობანი, ეს იქნებოდა შესრულებული ადგილობრივი ხელოსნების მიერ თუ ვაჭრობის გზით შემოტანილი. ძალზედ საინტერესოა სამეფო არქივები იმ მხრივ რომ, იგი წარმოადგენდა შინაარსობლივად მრავალფეროვან ბიბლიოთეკას. აღმოჩენილია: სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, დიპლომა-ტიური, ლიტერატურული თუ ლექსიკური სახის მასალები, განსაკუთრებით აღსანიშნავია შუმერულ-ელაური ლექსიკონი. თიხის ფირფიტების საერთო რაოდენობა 17050 აღემატებოდა. გამოიკვეთა სამი ტიპის ფირფიტები: მართკუთხა, კვადრატუ-ლი, მრგვლოვანი. ფირფიტების ფორმით შესაძლოა გაირკვეს თუ რა ხასიათის წყაროსთან გვაქვს საქმე. მაგ.: ისტორიული დოკუმენტები იწერებოდა მხოლოდ მრგვლოვანი ფორმის ფირფიტებზე, ეკონომიკური – კვადრატულზე და ა.შ. დოკუმენტები ბიბლიოთეკის ოთახებში თემატურად იყო განლაგებული. ცალ-ცალკე ინახებოდა სამიწათმოქმედო-აღმინისტრაციული ტექსტები, სავაჭრო, ლიტერატურული, ლექსიკური და ისტორიული ხასიათის დოკუმენტები, კრედიტები და წერილები. გამოიყენებოდა დოკუმენტების შენახვის სამი მეთოდი: 1) ფირფიტებს აწყობდნენ ღია თაროებზე; 2) გრძელ სკამებზე და 3) დამიანებისაგან დაზღვევის მიზნით ფარავდნენ ხის დაფებით.

სამხრეთ კომპლექსი შედგებოდა რამდენიმე მცირე შენობის გარდა, მეფის კარისაგან და გამოუწვავი აგურისაგან აშენებული სწორკუთხოვანი ბოძებიანი შენობისაგან, სადაც სამი დაუზიანებელი აღმინისტრაციული ცხრილი აღმოაჩინეს (1982წ.), რომელიც ეკუთვნოდა სხვა დოკუმენტების არქივის კორპუსს.

აღმოჩენილი მასალების საფუძველზე გაირკვა, რომ ელაური ენა აფრაზიულ ენებში შემავალი სემიტური ენების ოჯახის ერთ-ერთი არქაული ენაა, რომელიც გამოეყო საერთო სემიტურ არქაულ ენას და ცალკე ენად ჩამოყალიბდა. რაც შეეხება ორთოგრაფიას, ის სავსებით შეესაბამება ძველ აქალღურს.

აქვე მინდა არქივიდან მოვიყვანო ერთი პატარა დოკუმენტი, სადაც მკვეთრად გამოყოფილი სამი მსხვილი კატეგორია: ღმერთი, მეფე და უხუცესები: 100 საწყაო პური უხუცესთათვის; 12 1/2 საწყაო

პური ღმერთ კურასთვის, 5 თვე; 127 საწყაო პური მეფისთვის, საკვები SA.ZA<sup>KI</sup>დან.“<sup>1</sup> საერთოდ ებლას საზოგადოების სტრუქტურის შესახებ ლაპარაკი ნაადრევია, მანამ, სანამ არ დამუშავდება ებლური ტექსტების მთელი არქივი. უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტებში თავისუფლებისა და მონების არსებობა არასაკმა-რისია საზოგადოების დახასიათებისთვის. აქამდე გამოქვეყნებული ტექსტების საფუძველზე შექმნილი შთაბეჭდილება ამტკიცებს პიოპოთეზას იმის შესახებ, რომ ძირითად საწარმოო ძალას წარმოადგენდნენ გლეხები და ხელოსნები და რომ ებლის საზოგადოება არ შეიძლება ყოფილიყო მონათმფლობელური.

შესწავლილი მასალების მიხედვით ებლას სათავეში იდგა თანამდებობის პირი, რომლის აღსანიშნავადაც წერილობით წყაროებში გამოიყენებოდა შუმეროგრამა **en** (ბაგონი), რომელიც ებლურად ითარგმნება, როგორც **malikum**. ქვემო მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილში ტერმინით **en** აღინიშნებოდა ქურუმი, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში სარგებლობდა მეფის უფლებებითა და პრივილეგიებით, საერთოდ შუმერული ქალაქ-სახელმწიფოს სათავეში იდგა პიროვნება – **LUGAL** (დიდი კაცი), **LUGAL**-ის ექვივალენცია **arum** -ი, რომელსაც აქადელები ხმარობდნენ, ხოლო ებლადელები თარგმნიდნენ, როგორც დიდგვაროვან ადამიანს“. ამ შუმეროგრამით აღინიშნებოდნენ სამეფო მეურნეობის ცალკეული დარგების მმართველები. მეფეს აღმინისგრაციულ და სამხედრო ლიდერის ფუნქციებთან ერთად ეკისრებოდა საკრალური ფუნქციაც. შეიძლება ითქვას, რომ მეფის ხელისუფლება ჩვეულებრივ გადადიოდა მამიდან შვილზე და ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს ცნობები არჩევნების არსებობის ან მეფის საჯარო აღიარების პროცედურის შესახებ.

ებლის მეფე **malikum**-ი სახელმწიფოს მართავდა ორი ან სამი მრჩევლის **ABXA**□-ის დახმარებით. სამეურნეო საქმეებს განაგებდა მოხელე **adanum** – ბაგონი. იმ მუშახელს – **eduru** -ს შორის, რომლებიც იღებდნენ საკვებ რაციონსა და მიწის ნაკვეთებს გამოსაკვებად, მოიხსენიებიან ახალგაზრდა მუშები“ – **guru**□ უფროსი მხენელები“ – **engar** და მონები – **ir**□, ზოგ ადგილას მოიხსენიება უბრალოდ ხალხი – **na**-□<sup>11</sup>, რომელთაც ტექსტები ამკარად განასხვავებენ მონებისგან“.

არქივიდან ზოგი დოკუმენტი ეხება დიდებულთათვის მიწების დარიგებას. ტექსტებში გამოყენებულია ტერმინი **nig-ba** – ბოძება, აქ

<sup>1</sup>I mi-at gú-bar ninda ABXA□12 <sup>1</sup>/<sub>2</sub> gú-bar ninda <sup>4</sup>Ku-ra 5 itu 1 mi-at 30 lá 3 gú-bar en kú SA.ZA<sup>KI</sup>x \_ TM.75.G.345.

საქმე ეხება არა მიწების საკუთრებაში გადაცემას, არამედ ამ მიწიდან მოსავლის მიღების უფლებას გარკვეული ვადით. ამ პერიოდის ახლო აღმოსავლეთში მიწა იყო თემის საკუთრება და ნაწილდებოდა თემს შიგნით ოჯახებს შორის.

ცნობილი იდეოგრამა **SA.ZA<sup>KI</sup>** აღნიშნავდა სასახლეს (ფართო გაგებით), რომელსაც, როგორც ჩანს, ეჭირა ქალაქის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. პერსონალის მთელი რაოდენობა, მოქარავენე ვაჭრებიდან (**damgar**) დაწყებული მომღერლებით (**nar**) დამთავრებული შედიოდა **SA.ZA<sup>KI</sup>** ის სტრუქტურაში. სასახლის ტერიტორიაში შედიოდა გურუშების სოფელიც (**é-duru<sup>KI</sup>**),<sup>2</sup> მაღალი სახლი“ (**é-máh**), ეკლების სახლი“ (**gigir<sup>KI</sup>**), არაძვირფასი ლითონების სახლი“ (**é-am**). ასევე სასახლის ტერიტორიის საზღვრებში განლაგებული იყო სახელოსნოები: მჭედლებისათვის (**é-simug**), ხუროებისათვის (**é-nagar**); აქ იყო მონების კვარტალიც (**é-ir<sub>11</sub>**) და რამდენიმე სასაწყობო შენობა: მაგ.: ზეთის შესანახად (**e-i-gi**) ან მატყლის სახლი“ (**e-siki**), სადაც ინახებოდა ქსოვილები და მათი ნაწარმი.

**SA.ZA<sup>KI</sup>** -ის უპირისპირდება ქალაქგარე დასახლება – **uru-bar**, სადაც მდებარეობდა სახლები მოსამსახურეებისათვის (**dam-dam**), რომლებიც ფქვავდნენ მარცვლეულს და ქსოვდნენ.

რაც შეეხება ელას მომარაგებას, მაგალითად საკლავის შესახებ, გვხვდება სამი ტიპის: 1) ტაძრებისათვის მსხვერპლშესაწირი ცხოველები; 2) სასახლის კარისათვის განკუთვნილი. ორივე ეს ჯამდებოდა და წარმოადგენდა მომარაგების რიცხვს (**gaba-ru**) სასახლისათვის; 3) ცხოველები, რომლებიც საკვებად იყო განკუთვნილი გზაში მგზავრობისას (**nig-kaskal; kaskal-kaskal**). საერთო ჯამი თვეში შეადგენდა 800-დან 1500 თავამდე, ყველაზე დიდი ციფრი აღწევდა 3500, 4600 თავს.

მონაცემები მიწათმოქმედების პროდუქტებთან დაკავშირებით ძალიან მრავალფეროვანია და ძნელად დასათვლელი, უპირველესად ჩვენთვის ცნობილი არ არის რას შეესაბამება ელასში გამოყენებული ფართობის საზომი ერთეული (**gana-kesda ki**). მაგ.: 157500 ერთეული ფართობი მოჯამაგირეების კვებაზე; 11860 ერთეული (1/10-ზე ნაკლები) თანამდებობის პირთა კვებაზე; 22230 ერთეული სასახლის ხუროებისათვის; 19020 ერთეული უხუცესთათვის; 9870 ერთეული ქალაქის ხუროებისათვის; 17700

<sup>2</sup> მოგვიერ **é-duru**, შედგება **na-□<sub>11</sub>** □<sub>11</sub>გან [ხალხისგან], რამოდენიმე **é-duru**, შეადგენდა **Kán**, ეს შუმერული ტერმინი აღნიშნავს არამარტო „ჭიშკარს“, არამედ ქალაქის კვარტალსაც, რომელსაც უფროსობდნენ სასახლის მთავარი თანამდებობის პირები.

ერთეული დავალებათა შემსრულებელ სახლების შედამხედველებისათვის“<sup>3</sup>, სულ ჯამში 238180 ერთეული ფართობი“. როგორც ჩანს ჩვენს წინ არის ცნობა სასოფლო სამეურნეო ადგილმამულის შესახებ, რომელიც განკუთვნილი იყო ებლის მოსახლეობის მოსამარაგებლად.

ერთ-ერთი დოკუმენტი<sup>4</sup> შეიცავს მონაცემებს რაციონის (se-ba) შესახებ, როგორც მოჯამაგირეებისათვის ასევე მეფისა და მეფისწულებისთვის, წლიურ მოცულობას უნდა მიეღწია 40000 საწყაოსთვის.

მინდვრების შესახებ გრძელი კატალოგები გვიჩვენებენ, რომ ჩინოვნიკების ნაწილი და ასევე ჩვეულებრივი ადამიანები პროფესიების მიხედვით (მაგ: ხურო-ები, მწერლები, მოსამართლეები და ა.შ.) საკვებს“ იღებდნენ ინდივიდუალურად. როგორც ჩანს სტანდარტული ნორმა წარმოადგენდა 200 საზომ ფართობს დასათესად და თითოეული ასეთი სტანდარტული ერთეული შეიცავდა კიდევ წყვილ ჯორს. მაგ.: 600 საზომი მინდვრის ფართობი, 3 წყვილი ჯორი ხალხი-სათვის ვინც დაკავებულია ღვინის წარმოებით.“ მეფის ვაჟები მაგ: იპლურა, იბბი-ზიკორის ერთ-ერთი ვაჟი, იღებდა ღიდ კვებას“, რომელიც შედგებოდა რამოდენიმე ათასი საზომი ფართობისგან.

ახლა შევჩერდეთ ანგარიშზე (id) ან საინვენტარო ჩამონათვალზე, რომელიც ეხება ხუროს სახლს“<sup>4</sup> (ე.ი. სახელოსნოს, სადაც ხელოსნები ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს). აქ პირველი რიგი აღმოჩნდა საკვები პროდუქტების სია: 3 დოჭი ზეთი, 20 ჭურჭელი ხორბლის ფქვილი, 4 ბარდის ფქვილი და ა.შ. შემდეგ მოხსენიებულია მცირე რაოდენობის ნახევარ კილოგრა-მამდე ვერცხლი, 720 საწყაო ქერი, 600 ცხვარი, ბოლოს 700 ისარი ან შუბი. ამრიგად დოკუმენტი ეძღვნება ამ სახელოსნოს სურსათით მომარაგებას და აგრეთვე აღსანიშნავია თვით ხელოსნების მიერ დამზადებული საგნები. ამ ტიპისაა ყველა ის დოკუმენტი რომელიც ანგარიშებს ეხება.

ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტებს რადგანაც ჰქონდა რაღაც დამოკიდებულება სამეფო არქივებთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ან სამეფო შეწყალების აქტები, ან სამეფო დეკრეტები, რომლებიც ამტკიცებდნენ საკუთრების მემკვიდრეობაში გადაცემას.

მაგ: მეფე 10 წლით წარმოგიდგენს და გაძლევს შენ ქონებას (კერძოდ სახლს) სოფელ ბაითაინში“<sup>5</sup>. არის აგრეთვე რამოდენიმე

<sup>3</sup> TM. 75. G. 1976

<sup>4</sup> TM. 75. G. 1432

<sup>5</sup> TM. 75. G. 1766 I 6-II 7 Fronzaroli 1979c.

ლოკუმენტი რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა ნებაყოფრობით შეთანხმებას საანდერძო განკარგულების შესახებ ან მხარეთა სიტყვიერი შეთანხმების ფიქსირებას. ამ შეთანხმების შესრულება ხდება მხარეთა შორის დადებული ფიცის დაცვის საფუძველზე. რაც შეეხება ქონებას, იგი ფიქსირდება ჯამურად, ადგილზე მისვლის ჩვენებით: X მიწის ფართობის ზომა (სოფელში) თ, ვენახი (სოფელში) თ.“ როგორც წესი ასეთი სახის წყალობა მიწის ნაკვეთის გარდა შეიცავს ასევე სახლსაც, ე.ი. საუბარია ადგილმამულიან კარმიდამოზე.

არსებობს დაახლოებით 40 ლოკუმენტი (აქ მეფესთან ერთად ნახსენებია ოფიციალური პირებიც), სადაც საუბარია მომარაგებაზე. ეს ლოკუმენტები კარგად ასახავს მეფის საქმიანობის სფეროს, აქედან 30 ეკუთვნის მარტო მეფე იბრიმს, დაახლოებით ამდენივე მის ვაჟს იბბი-მიკირს, 8 არენუმს, 2 იგრიშ-ხალამს, 2 მეფე იბრიუმის წინამორბედებს. შეიძლება ითქვას რომ ეს ტექსტები წარმოადგენენ წლიურ ანგარიშებს.

როგორც არქივიდან გამოვლინდა ებლას მჭიდრო კონტაქტები ჰქონია ქაქშიუმთან, გასურთან (ნუმი, ხურიტების დადაქალაქი), ქიშთან (ქვემო მესოპოტამიის ჩრდილოეთ ნაწილი). ებლა აკონტროლებდა სავაჭრო გზას ლიბანისა და ამასიის კედრის ტყეებსა და მცირე ამიის ვერცხლისა და სპილენძის საბადოებისაკენ. სავაჭრო ურთიერთობანი ებლას ბიბლოსის შუამდგომლობით ჰქონდა ეგვიპტესთანაც. აღმოჩენილია ალებასტრის ჭურჭლის ნამკვრევები ეგვიპტის IV დინასტიის ფარაონის ხეფრენის (ძვ.წ. 2600წ.), VI დინასტიის ფარაონის პიოპი I-ის ამოგვიფრული სახელებით. საკუთრივ ებლასა და ბიბლოსს შორისაც არსებობდა შუამავლის როლის შემსრულებელი ქალაქ-სახელმწიფოები, მაგ: ჰამათი, კათნა, ან თუნიფი, რომლებიც აკონტრო-ლებდნენ უღელტეხილებს ლიბანისა და ფინიკის სანაპიროებს შორის.

ებლას დღევანდელ ეტაპზე შესწავლილი არქივის ლოკუმენტები არაფერს იუწყებიან ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ. ებლაზე თავიანი ლაშქრობის თაობაზე მოგვითხრობენ აქადის დინასტიის წარმომადგენლები სარგონი (ძვ.წ. 2316-2261წ.წ.) და ნარამსუენი (ძვ.წ. 2236-2200წ.წ.). ამ უკანასკნელმა ძვ.წ. 2225წ. გაანადგურა ებლა მისი უკანასკნელი მეფის იბბი-მიკირის მმართველობის დროს. ძვ.წ. 2000წ. ებლა კვლავ აღდგა, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობას ამორეველები და ხურიტები შეადგენდნენ. ებლა არსებობას აგრძელებს ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრამდე, შემდეგ კი კვლავ ნადგურდება, აძჯერად საბოლოოდ.

რაც შეეხება ებლაურ ხელოვნებას, იგი ძირითადად მიჰყვება შუმერულ-აქადური ხელოვნების პრინციპებს, თუმცა შეიმჩნევა ორიგინალური ელემენტებიც. აღსანიშნავია სხვადასხვა მასალისგან დამზადებული რელიეფები, რომლებშიც გაერთიანებულია გორელიეფური და მრგვლოვანი სკულპტურა.

აღსანიშნავია, რომ ებლას ტოპონომიკა, როგორც ი. გელები აღნიშნავს არც ხურიტულია, არც შუმერული, არც არამეული, არც ინდოევროპული, არამედ აქამდე უცნობი საიდუმლოებებით მოცული უძველესი ეთნიკური სუბსტრატია.

ებლას ღვთაებათა პანთეონს რაც შეეხება საკმაოდ განსხვავებული ძვ.წ. III-II ათასწლეულის დასაფლეთ სემიტური პანთეონისაგან, დოკუმენტებიდან ცნობილია უსახელო ღვთაება ილი (**ilum**), სეცყვის და წვიმის ღვთაება ხადა, ქალღმერთი ეტაპი, იშთარი და სხვა. საერთოდ საქალაქო პანთეონის სათავეში დგას ქურა, ცნობილია პანთეონში შემავალი შემდეგი ღმერთები – რასაფი, სიფისი, ეშთარი, ადა (ხადა), ქამიში და სხვა.

ებლას აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა მეცნიერების ახალ დარგს ებლასტიკას და დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერები სწავლობენ ამ უძველესი ცივილიზაციის საიდუმლოებით მოცულ ისტორიას – ახალ ისტორიას, ახალ ენას და ახალ კულტურას“ – როგორც აღნიშნა ჩვენი ღრობის ერთ-ერთმა უდიდესმა აღმოსავლეთმცოდნემ ი. გელებმა.

ჯერჯერობით აღმოჩენილი მასალების საფუძველზე ებლის შესახებ მხოლოდ ეს შეგვიძლია ვთქვათ. მასალა ამოუწურავია, ვინაიდან, თელ-მარდისის ბორცვზე გათხრები კვლავაც გრძელდება. სრული სურათის შექმნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ებლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დასრულების შემდგომ, რომელიც უახლოეს მომავალშია ნავარაუდევო.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ასგახიშვილი ე. – ებლას ცივილიზაცია. მაცნე №4. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია (საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა). 1990.
2. Маттиэ П. (Общая редакция И. М. Дьяконова) \_ Древняя Эбла. 1985г.
3. Archi A. \_ The epigraphic evidence from Ebla and the Old Testament. Biblica, 60, 1979.



4. Archi A. \_ I rapporti tra Ebla e la Biblia. SEB, II, 1980.
5. Biggs R. D. \_ The Ebla tablets: An interim perspective. BA, 43, 1980.
6. Brockelmann C. \_ Grammatik der semitischen Sprachen, I-II. Berlin, 1908-1913.
7. Dahood M. \_ Ebla, Ugarit and the Old Testament: Congress Volume. VTS, 29, 1978.
8. Diakonoff I. M. \_ Semito-Hamitic languages. Moscow, 1965.
9. Edzard D. O. \_ Der Text TM.75.G. 1444 aus Ebla. SEB, IV, 1981.
10. Fronzaroli P. \_ Materiali per il lessico eblaita, I. AnEb, 1, 1980.
11. Fronzaroli P. \_ Note sul contatto linguistico a Ebla. VO, 3, 1980.
12. Gelb I. J. \_ Thought about Ibla: a preliminary evaluation. March, SMS, I, 1977.
13. Klengel H. \_ Geschichte Syriens, III. Berlin, 1970.
14. Matthiae P. \_ Ebla. Un impero ritrovato. Torino, 1877.
15. Pettinato G. \_ The royal archives of Tell Mardikh-Ebla. BAR, 39, 1976.
16. Pettinato G. \_ Ebla. Un impero inciso nell'argilla. Milano, 1979.
17. Pettinato G. \_ Ebla e la Biblia. OA, 19, 1980.

### *Nino Charekishvili*

#### **The Ebla city-country**

##### Resume

To the scientific circle of Georgia, Ebla civilization (B.C. III-II millennium) modern Syrian Arab Republic is less known. The purpose of the work is to make clear many questions, including civilization-related, on the basis of discovered materials on the territory of Ebla city-country. There are following topics discussed in the work: groups, discovered in the result of archeological dig and three sectors (central, administrative and South Complexes); royal archives, civil service, public structure; special form of land property; palace (SA.ZA<sup>KI</sup>) and country-house structure, Ebla relations with other countries; military and politic history (as well as it is known to us from written sources); Ebla divinity pantheon; Ebla civilization ethnic origin and its language structure and etc. The creation of the full picture will be possible only after the accomplishment of archeological dig on the territory of Ebla, which is expected in the near future.